დადგენილება № სფ-0194-21
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ხაშური 18 თებერვალი 2021 წ

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამხრეთ საქართველოს ფილიალის იურისტი - მარიამ ფარეიშვილი

2. საქმის განხილვის თარიღი: 2021 წლის 18 თებერვალი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ი.მ სერგო ფერაძე

პირადი №11001008844;

აბონენტის №3810361211;

მცხოვრები: ბორჯომი, დ. აღმაშენებლის ქ. №1

.....

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

მიმდინარე წლის 13 თებერვალს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნარუჯებში (ღუდა), კომპანიის თანამშრომელთა მიერ შემოწმების განხორციელებისას გამოვლინდა, რომ ფიდერ „თხილნარა"-ზე, სპ №503-359-ზე, რომელიც წარმოადგენს საბალანსო მრიცხველს, სერიული №00376344, გამომსვლელ ავტომატურ ამომრთველზე მიერთებული იყო ერთი ფაზის არალეგალური ალუმინის სადენი, 25 მმ² კვეთით, რომელშიც გადიოდა 8.5 ამპერი დენი. როგორც მოკვლევით დადგინდა, ელ.ენერგიის დატაცებას ახდენდა ი.მ სერგო ფერაძე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მ/წლის 13 თებერვალს ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამხრეთ საქართველოს ფილიალის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ქვეგანყოფილების სეციალისტის ზაქარია გრიგალაშვილის მიერ შედგა აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი №1589670 და ასევე, იმავე დღეს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №006157. საქმის მასალების შესავლის შედეგად გამოირკვა, რომ ი.მ სერგო ფერაძე, აბონენტად რეგისტრაციის გარეშე და შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის გვერდის ავლით საბალანსო მრიცხველიდან ახდენდა ელექტროენერგიის დატაცებას, კომერციული საქმიანობისათვის, კერძოდ, ელ.ენერგიას იყენებდა ხის მასალის დახერხვისათვის. აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე. ი.მ სერგო ფერაძის მიმართ 13.02.2021 წელს შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №006157 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, რომელსაც იქვე გადაეცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მან ოქმში, ახსნა-განმარტების გრაფაში, აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და განმარტა, რომ მომავალში აღნიშნული ფაქტი აღარ განმეორდებოდა.

თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მ/წლის 15 თებერვალს ჩატარებული განმეორებითი შემოწმების დროს, კვლავ დაფიქსირდა ი.მ სერგო ფერაძის მხრიდან ელ.ენერგიის დატაცების ფაქტი, რის თაობაზეც ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" სამხრეთ საქართველოს ფილიალის აღრიცხვის ჯგუფის

[illegible] „ისს გადასასუფთავებელ საამქროს", რომელიც აბონენტად არ არის რეგისტრირებული. საამქროს დადაგმული სიმძლავრეა 15.1 კვტ. მათ შორის, 1) ძრავი - 7.5 კვტ, 2) ძრავი - 5.5 კვტ, 3) ძრავი - 1.1 კვტ, 4) ძრავი - 0.5 კვტ, 5) განათება - 0.5 კვტ. აქტში მითითებულია, რომ აღნიშნული სადენი ქსელზე განმეორებით არის არალეგალურად მიერთებული.

ი.მ სერგო ფერაძის მიერ ელ.ენერგიის უკანონო მოხმარება (სამართალდარღვევა) წარმოადგენს პირველ შემთხვევას, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ 2021 წლის 17 თებერვალს ელექტრონულად გამოგზავნილი ინფორმაციით. საქმეში, ასევე, წარმოდგენილია 13.02.2021 წლის №1589670 და 15.02.2021 წლის №1590561 აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტები, გადაღებულია ვიდეომასალა, რომლითაც დასტურდება ი.მ სერგო ფერაძის მიერ ელ.ენერგიის დატაცება. საქმეში დევს დადასტურება, რომ სამართალდამრღვევს ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე და იგი ესწრებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას. სხდომაზე ი.მ სერგო ფერაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და დეტალურად აღწერა გარემოებები. ამდენად, კომისია უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საკითხზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველაფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი; აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტები; ვიდეომასალა; შსს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია; ჩაბარების დადასტურება, სამართალდამრღვევის წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება...), რომელთა მეშვეობითაც დგინდება ი.მ სერგო ფერაძის (პ/ნ 11001008844) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, ელ.ენერგიის დატაცება. სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ა.ს.კ.-ის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ასევე, დაცულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

---

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით; მე-10; 38-ე; 236-ე; 240-ე; 228[2]-ე მუხლებით; სემეკის 12.08.10 №14; 28.09.15 №28 დადგენილებებით; ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას" გენერალური დირექტორის 16.09.10 RU №2010009 წესით და 17.12.20 Or №2020042 ბრძანებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. **ი.მ სერგო ფერაძე (პ/ნ 11001008844)** ცნობილ იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ა.ს.კ. 96[1] მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილების სახით.
7. მასვე განემარტოს, რომ იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

[illegible] ... [illegible] კომისიის საკითხი:

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების [illegible] ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმოძარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე:
მარიამ ფარეიშვილი